

დადგენილება N029677

გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

10 თებერვალი 2025 წ.

ქ. ფოთი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისის იურისტი გულინა კუნჭულია

2. საქმის განხილვის თარიღი: 2025 წლის 10 თებერვალი

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართაც განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი ლევან მჭავიაძე პ.ნ 33001056840 მცხოვრები ოზურგეთი ბოხვაური აბონენტის ნომერი 1118414396

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

ფიზიკურმა პირმა ლევან მჭავიაძემ მოახდინა ბუნებრივი აირის თვითნებური ჩართვა, შესაბამისად ადგილი ჰქონდა ბუნებრივი აირის უკანონო მოხმარებას.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 200, 228<sup>2</sup>, 236-237, 266-268 მუხლებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის #12 და 2010 წლის 12 აგვისტოს #14 დადგენილებებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფ/პ ლევან მჭავიაძეს პ.ნ 33001056840 დაედოს ადმინისტრაციული სახდელი **გაფრთხილება** (სამართალდარღვევის ჩამდენი პირის დასახელება)

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით;

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: